

Tamari Beridze

E. mail: t.beridze@gtu.ge

Professor, Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0007-7052-647X

Medea Chelidze

E. mail: m.chelidze@gtu.ge

Professor, Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0000-0002-3686-4201

Lika Beridze

E. mail: l_beridze@gtu.ge

Professor, Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0003-6847-152X

Tamari Devidze

E. mail: t.devidze@gtu.ge

Assoc. Professor, Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0002-8321-5885

Bella Goderdzishvili

E. mail: b.goderdzishvili@gtu.ge

Assoc. Professor, Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
orcid.org/0009-0005-7650-5712

ECONOMICS OF EDUCATION IN THE PROCESS OF GLOBALIZATION

Abstract: *The Economics of Education in a Globalized World examines how global integration affects the supply and demand, outcomes, and performance of education systems around the world. In a globalized economy, it examines the role of education in national economic development, labor market dynamics, and the realization of individual capabilities.*

Education increases the productivity of societies and, consequently, economic growth. Globalization creates a competitive market for talent. Leading countries attract skilled professionals from developing countries (the “brain drain”), which creates problems for countries that are losing their skilled labor force.

Developing countries often face difficulties in providing knowledge, leading to unequal conditions in education. Globalization of markets may exacerbate this imbalance, as countries with high-quality education systems will prosper even more.

The rise of digital platforms and global access to information have facilitated cross-border learning and the internationalization of educational programs. However, this has led to a mismatch between the skills taught in national education systems and the skills required by the global market. In a globalized and rapidly changing world, the economics of education faces a number of pressing issues (access to quality education, rising costs

of higher education, skills-employment mismatch, public funding of education, quality of education, etc.) that significantly affect the economic performance of both developed and developing countries. on the situation and results in the labor market. The purpose of studying the issue is to identify current problems in the economics of education and find optimal ways to solve them. SWOT analysis of the environment can identify the strengths and weaknesses, opportunities and risks that the education system faces in the context of economic influence. PEST analysis identifies macro-environmental determinants (political, economic, social and technological) that affect the economics of education during the period of economic growth. Based on the obtained results, it is possible to take into account the complex dynamics of globalization of the economics of education in order to ensure global integration and benefits of education systems. In a global economy, education remains an essential tool for social mobility, where highly skilled jobs are more accessible to those with a quality education.

Keywords: economics of education, globalization, knowledge integration, skilled labor force, social mobility.

JEL classification: A20, A29

თამარი ბერიძე

E. mail: t.beridze@gtu.ge

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0007-7052-647X

მედეა ჭელიძე

E. mail: m.chelidze@gtu.ge

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0000-0002-3686-4201

ლიკა ბერიძე

E. mail: l.beridze@gtu.ge

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0003-6847-152X

თამარი დევიძე

E. mail: t.devidze@gtu.ge

ასოც. პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0002-8321-5885

ბელა გოდერძიშვილი

E. mail: b.goderdzishvili@gtu.ge

ასოც. პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
orcid.org/0009-0005-7650-5712

განათლების ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესში

აბსტრაქტი: განათლების ეკონომიკა გლობალიზაციის პროცესში გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს გავლენას გლობალური ინტეგრაცია განათლების სისტემების მიწოდებასა და მოთხოვნაზე, შედეგებსა და ეფექტიანობაზე მთელს მსოფლიოში. გლობალიზებულ ეკონომიკაში იგი ითვალისწინებს განათლების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, შრომის ბაზრის დინამიკასა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენაში.

განათლება აძლიერებს საზოგადოების პროდუქტიულობას და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას. გლობალიზაცია ქმნის კონკურენტულ ბაზარს ნიჭისთვის. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები იზიდავენ კვალიფიციურ პროფესიონალებს განვითარებადი ქვეყნებიდან (ტვირთის გადინება), რაც გამოწვევების წინაშე აყენებს იმ ქვეყნებს, რომლებიც კარგავენ კვალიფიციურ სამუშაო ძალას.

განვითარებადი ქვეყნები ხშირად აწყდებიან გამოწვევებს ცოდნის მიწოდების მხრივ, რაც განაპირობებს არათანაბარ მდგომარეობას განათლების კრილში. ბაზრების გლობალიზაციამ შეიძლება გააღრმავოს ეს დისბალანსი, რადგან ხარისხიანი განათლების სისტემების მქონე ქვეყნები კიდევ უფრო მეტად აღორძინდებიან.

ციფრული პლატფორმების ზრდამ და ინფორმაციაზე გლობალურმა წვდომამ ხელი შეუწყო ტრანსსასაზღვრო სწავლებას და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. თუმცა წარმოქმნა შეუსაბამო ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებში შესასწავლ უნარებსა და გლობალური ბაზრის მიერ მოთხოვნილ უნარებს შორის.

გლობალიზებულ და სწრაფად ცვალებად სამყაროში განათლების ეკონომიკა რამდენიმე მწვავე გამოწვევის წინაშე დგას (ხარისხიანი განათლებაზე წვდომა, უმაღლესი განათლების მზარდი ხარჯები, უნარების შეუსაბამო და დასაქმება, სახელმწიფოს მიერ სწავლების დაფინანსება, სწავლების ხარისხი და სხვ.), რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობასა და შრომის ბაზრის შედეგებზე. საკითხის შესწავლის მიზანს წარმოადგენს განათლების ეკონომიკის აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების მოძიება.

გარემოს SWOT ანალიზით შესაძლებელია ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და რისკების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც დგას განათლების სისტემა ეკონომიკური გავლენის კონტექსტში. PEST ანალიზით კი განათლების ეკონომიკაზე მოქმედი მაკროგარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური) დადგენა ეკონომიკური აღმავლობისას. მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია განათლების ეკონომიკის გლობალიზაციაში კომპლექსური დინამიკის გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილი იყოს განათლების სისტემების გლობალური ინტეგრაცია და სარგებელი. გლობალურ ეკონომიკაში განათლება რჩება კრიტიკულ ინსტრუმენტად სოციალური მობილურობისთვის, სადაც მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილები უფრო ხელმისაწვდომია მათთვის, ვისაც აქვს ხარისხიანი განათლება.

საკვანძო სიტყვები: განათლების ეკონომიკა, გლობალიზაცია, ცოდნის ინტეგრაცია,

კვალიფიცირებული სამუშაო ძალა, სოციალური მობილობა

JEL კლასიფიკაცია: A20, A29

შესავალი

ციფრული პლატფორმების ზრდამ, ინფორმაციაზე გლობალურმა წვდომამ განაპირობა ფუნდამენტური ცვლილებები განათლების სექტორში და ტრანსსასაზღვრო სწავლებას და ინტერნაციონალიზაციას დაუდო საფუძველი.

გლობალიზებულ და სწრაფად ცვალებად სამყაროში განათლების ეკონომიკა რამდენიმე მწვავე გამოწვევის წინაშე დგას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობასა და შრომის ბაზრის შედეგებზე.

საკითხის შესწავლის მიზანს წარმოადგენს განათლების ეკონომიკის აქტუალური პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზების მოძიება. გარემოს შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება განათლების ეკონომიკის კომპლექსური დინამიკის გათვალისწინება განათლების სისტემების გლობალური ეფექტიანი ინტეგრაციისათვის.

ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოქმნის შეუსაბამობას ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების მიხედვით შესასწავლ და გლობალური ბაზრის მიერ მოთხოვნილ უნარებს შორის, რაც განსაზღვრავს სასწავლო პროგრამების რეფორმების აუცილებლობას და მთელი ცხოვრების მანძილზე შესაბამისი ინიციატივების საჭიროებას. გლობალიზაციამ განაპირობა განათლების მოდიფიკაცია, უნივერსიტეტები ეწევიან საერთაშორისო კონკურენციას რეიტინგების მოსაპოვებლად, რაც ქმნის არა შრომის ბაზარზე, არამედ სოციალურ სიტუაციაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პოლიტიკას.

მეთოდოლოგია

გლობალურ ეკონომიკაში განათლება გვევლინება კრიტიკულ ინსტრუმენტად სოციალური მობილურობისთვის, რადგან მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილები უფრო ხელმისაწვდომია მათთვის, ვისაც აქვს ხარისხიანი განათლება. განათლებაზე არათანაბარი წვდომა იწვევს სოციალურ სტრატეფიკაციას.

საერთაშორისო მობილობით და თანამშრომლობით განათლება მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალური მოქალაქეობის, კულტურათაშორისი ურთიერთგაგებისა და პასუხისმგებლობის გამოწვევების მიმართ. გლობალიზებულ სამყაროში შესაძლებელი უნდა იყოს განათლების მდგრადი დაფინანსების გზები და მათი სამართლებრივად უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისთვის. განათლების ეკონომიკა გლობალიზაციაში გულისხმობს ამ კომპლექსური დინამიკის გათვალისწინებას, რაც უზრუნველყოს საგანმანათლებლო სექტორის გლობალურ ინტეგრაციას და შესაბამის სარგებელს.

განათლება ზრდის ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს, იძლევა პროდუქტიულ შედეგებს, ინოვაციებს და მთლიანად ეკონომიკურ წინსვლას. ხარისხიან განათლებაზე წვდომით შესაძლებელია საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური მობილურობა და არათანაბარი შემოსავლების შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში.

გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის გზით განათლებული სამუშაო ძალა ქვეყანას უფრო კონკურენტუნარიანს ხდის. განათლების შედეგია ცხოვრების მაღალი დონე, შესაბამისი შრომის ანაზღაურება, დასაქმების უკეთესი პერსპექტივები და ეკონომიკური უსაფრთხოება.

განათლების სისტემები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან, ეხმარებიან სტუდენტებს ადაპტირდნენ ციფრულ ეკონომიკასთან და დარჩნენ რელევანტური განვითარებად შრომის ბაზრებზე. თუმცა საგანმანათლებლო სექტორი ხშირად ჩამორჩება სამუშაო ბაზრის საჭიროებების სწრაფ ცვლილებებს, რაც იწვევს დამსაქმებლების მოთხოვნებთან შეუსაბამობას.

ხარისხიანი განათლებაზე წვდომის მიხედვით მკვეთრი განსხვავებაა რეგიონების, სოციალურ ფენებსა და სქესს შორის, რაც უფრო მეტად უსვამს ხაზს უთანაბრობას და ზღუდავს განათლების პოტენციურ სარგებელს ფართო მასშტაბით.

გაზრდილი გლობალური ინტეგრაციის პირობებში, მეტი შესაძლებლობა ეძლევათ სტუდენტებს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის, უნივერსიტეტებს - თანამშრომლობისთვის და საგანმანათლებლო რესურსების - გამოცდილების გაზიარებისთვის.

დაკავებული პოზიციის, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე იზრდება მოთხოვნა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე, რაც იძლევა შესაძლებლობას საზოგადოება მოერგოს ცვალებად ეკონომიკასა და ინდუსტრიას, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამებში ფოკუსირების გადატანა ისეთ სასწავლო კურსებზე, როგორცაა კრეატიულობის, კრიტიკული აზროვნების და სამეწარმეო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული შესაძლებელია განაპირობებდეს ერთგვარ ინოვაციებს და ეკონომიკურ დივერსიფიკაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები იძლევა ახალ შესაძლებლობებს, ასევე საზოგადოებას აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე. ავტომატიზაციამ და ხელოვნურმა ინტელექტმა სავარაუდოდ, არც თუ ისე შორეულ მომავალში, შესაძლებელია, გამოიწვიოს სტრუქტურული უმუშევრობა და სამუშაო ადგილების ჩანაცვლება.

განვითარებადი ქვეყნებიდან საზოგადოება ხშირად ემიგრაციაში მიდის ძირითადად, განვითარებულ ქვეყნებში, საკუთარი თავის რეალიზაციის მიზნით, უკეთესი შესაძლებლობების მისაღებად და ამ ნაბიჯით მშობლიურ ქვეყნებს ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო კრიტიკულ ადამიანურ კაპიტალს აცლიან.

განათლების გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ეროვნული კულტურების, სახელმწიფო ენების და ცოდნის სისტემების ეროზია, რადგან როგორც წესი, გლობალური სტანდარტები პრიორიტეტად მიიჩნევენ დასავლური განათლების მოდელს.

განათლების ეკონომიკის SWOT (S — strengths (ძლიერი მხარე); W — weakness (სუსტი მხარე); O — opportunities (შესაძლებლობები); T — threats (მოსალოდნელი საფრთხეები)) ანალიზით მოვახდინეთ განათლების სისტემების იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც ვლინდება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე ეკონომიკური გავლენის კონტექსტში (იხ. ნახ. 1).

ნახაზი 1. SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი	
<p>ძლიერი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური ზრდა • სოციალური მობილურობა • გლობალური კონკურენტუნარიანობა • შრომის ანაზღაურება და დასაქმება • ტექნოლოგიური ადაპტაცია • საჯარო და კერძო ინვესტიციები 	<p>სუსტი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნარების შეუსაბამობა • უმაღლესი განათლების ხარჯები • არასაკმარისად დაფინანსებული საჯარო განათლება • წვდომის განსხვავება ხარისხიან განათლებაზე
<p>შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა • ციფრული/ონლაინ განათლება • მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა • განათლება ინოვაციებისა და მეწარმეობისთვის • კერძო სექტორის პარტნიორობა 	<p>მოსალოდნელი საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> • მზარდი ხარჯები • უთანაბრობა • ტექნოლოგიური შეფერხება • პოლიტიკური არასტაბილურობა და დაფინანსება • ტვინის გადინება • კულტურული და სოციალური ზემოქმედება

წყარო: აგებულია ავტორების მიერ

როგორც ვხედავთ, განათლების ეკონომიკის SWOT ანალიზი ავლენს რთულ ლანდშაფტს, რომელშიც განათლების ძლიერი მხარეები ეკონომიკური ზრდის, ინოვაციების და სოციალური მობილურობის შესაბამისად უნდა შეფასდეს ისეთ ნაკლოვანებებთან, როგორცაა უთანაბრობა და უნარების შეუსაბამობა.

არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები განათლებაზე წვდომის გასაფართოებლად ტექნოლოგიების, უწყვეტი სწავლისა და გლობალური თანამშრომლობის მეშვეობით. თუმცა, ისეთი საფრთხეები, როგორცაა მზარდი ხარჯები და სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები, გათვალისწინებულ უნდა იქნეს

ქვეყნის განათლების უზრუნველსაყოფად, როგორც ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური ბერკეტისა.

PEST ანალიზი ((Political - პოლიტიკური, Economic - ეკონომიკური, Social - სოციალური, Technological - ტექნოლოგიური) იკვლევს მაკროგარემოს ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ განათლების ეკონომიკაზე და მოგვცემს მიმართულებას იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს ეს ფაქტორები განათლების სისტემებზე და მათ როლზე ეკონომიკურ განვითარებაში (იხ. ნახ. 2).

ნახაზი 2. PEST ანალიზი

PEST ანალიზი	
<p>პოლიტიკური ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამთავრო ბოპოლიტიკა და ინვესტიციები • საერთაშორისო განათლების პოლიტიკა • მარეგულირებელი ჩარჩოები • პოლიტიკური სტაბილურობა და კონფლიქტი • განათლება, როგორც პოლიტიკური დღის წესრიგი 	<p>ეკონომიკური ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური ზრდა და დაფინანსება • განათლების ღირებულება • შრომის ბაზრის მოთხოვნები • გლობალიზაცია და საერთაშორისო კონკურენცია • კერძო სექტორის ჩართულობა
<p>სოციალური ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უთანაბრობა და სოციალური მობილობა • კულტურული ღირებულებები და დამოკიდებულებები • დემოგრაფიული ცვლილებები • განათლებული საზოგადოების აღქმა • მიგრაცია და მულტიკულტურალიზმი 	<p>ტექნოლოგიური ფაქტორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ციფრული განათლებისა და ელექტრონული სწავლების პლატფორმები

წყარო: აგებულია ავტორების მიერ

მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პოლიტიკაზე გლობალური ორგანიზაციები (იუნესკო, მსოფლიო ბანკი) გავლენას ახდენენ საყოველთაო განათლების მიზნების ხელშეწყობით. განათლების სისტემები მკაცრად რეგულირდება, შემუშავებულია სასწავლო პროგრამები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი მიდგომები ხელს უწყობს ინოვაციების შეუფერხებელ დანერგვას და შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებას.

პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და კონფლიქტებმა შესაძლებელია საგანმანათლებლო სექტორს ზიანი მიაყენოს, განსაკუთრებით განვითარებად რეგიონებში. ომი და არეულობა ამცირებს სახელმწიფო განათლების დაფინანსებას და სამირკველს აცლის ადამიანური კაპიტალის გრძელვადიან განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დონე პირდაპირ ახდენს გავლენას განათლებაში ინვესტირების მოცულობაზე. ეკონომიკური ბუმი იწვევს სკოლების, უნივერსიტეტებისა და სასწავლო პროგრამების დაფინანსების ზრდას, ხოლო რეცესია - ბიუჯეტის შემცირებას და ხარისხიან განათლებაზე წვდომების შემცირებას.

ეკონომიკური ცვლილებები, როგორცაა ცოდნის ეკონომიკის ან ტექნოლოგიური მრეწველობის აღმავლობა, პირდაპირ გავლენას ახდენს განათლებაზე. შეუსაბამობამ შესაძლებელია განაპირობოს კურსდამთავრებულების უნარების შეუსაბამობა ბაზრის მოთხოვნებთან და შესაბამისად, მათი დასაქმების პრობლემები.

გლობალურმა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ გაზარდა კონკურენცია კვალიფიცირებული სპეციალისტებისათვის. სოციალურ-ეკონომიკური ფონი იძლევა კარიერული შესაძლებლობების ფართო არჩევანს. წარმატებული საგანმანათლებლო სისტემების მქონე ქვეყნებს შეუძლიათ მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ინოვაციები, თუმცა ეს განაპირობებს დასაქმებულთა შემოსავლების უთანაბრობას.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი დიდ აქცენტს აკეთებს აკადემიურ მიღწევებსა და განათლებაზე, როგორც წარმატებისკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზაზე, გარკვეულ ნაწილს კი სოციალურმა ნორმებმა შესაძლებელია შეუზღუდოს ცოდნის მიღებაზე წვდომა, განსაკუთრებით, მარგინალიზებულ ჯგუფებს.

მოსახლეობის დაბერება განვითარებულ ქვეყნებში ან განვითარებად ქვეყნებში ახალგაზრდობის მატება გავლენას ახდენს განათლების მოთხოვნაზე. ხანდაზმულ საზოგადოებებში შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს უწყვეტი სწავლასა და გადამზადებაზე, ხოლო ახალგაზრდა მოსახლეობაში საშუალო განათლება უფრო კრიტიკულად მიიჩნევა.

ციფრული და ონლაინ სასწავლო პლატფორმების დანერგვამ მოახდინა სერიოზული გარდატეხა განათლების სისტემაში, რამაც საფუძველი დაუდო დისტანციურ სწავლებას და შეამცირა გეოგრაფიული ბარიერები.

განალიზებული შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს აქტუალური საკითხები (ხარისხიან განათლებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობა; უმაღლესი განათლების მზარდი ხარჯები; უნარების შეუსაბამობა და უმუშევრობა; განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილი ბიუჯეტი, პედაგოგთა სიმცირე და სწავლების ხარისხი) და დაისახოს მათი აღმოფხვრისათვის ოპერატიული გადაწყვეტილებები.

კვლევის შედეგები. როგორც ვხედავთ, განათლების ეკონომიკა რამდენიმე მწვავე გამოწვევის წინაშე დგას, განსაკუთრებით გლობალიზებულ და სწრაფად ცვალებად

სამყაროში. ეს საკითხები გავლენას ახდენს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებზე და აქვს ღრმა გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, უთანასწორობასა და შრომის ბაზრის შედეგებზე.

როგორც ვნახეთ, არსებობს მკვეთრი განსხვავება გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სქესის და ეთნიკურობის მიხედვით. ასევე, სწავლის საფასური მუდმივად მზარდია, რაც იწვევს სტუდენტთა ვალის კრიზისს ბევრ ქვეყანაში. ეს ზღუდავს უმაღლეს განათლებაზე წვდომის თანაბარ შესაძლებლობებს და სტუდენტების მდგომარეობას ამძიმებს გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებებით, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკურ მობილობაზე.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და შესაბამისი უნარებისა და შრომის ბაზარზე საჭირო უნარებს შორის შეუსაბამობა იწვევს კურსდამთავრებულთა უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელს ან არასრულფასოვნებას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, რომლებიც განიცდიან სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებს.

სამწუხაროდ, გლობალურად იზრდება კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი, განსაკუთრებით STEM საგნებში. ასევე, ბევრ განვითარებად და ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში საჯარო განათლების სისტემები არასაკმარისი ოდენობისაა, რაც იწვევს გადატვირთულ საკლასო ოთახებს, აუდიტორიებს, მოძველებულ სასწავლო მასალებს, შეუსაბამო სწავლების ინსტრუმენტებს და პედაგოგების შრომის ანაზღაურების დაბალ ტარიფს. ეს კი პირდაპირ კავშირშია დაბალი მოსწრების საგანმანათლებლო შედეგებთან და შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების შეფერხებასთან.

დასკვნები

გამოკვეთილი აქტუალური საკითხების (ხარისხიან განათლებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობა; უმაღლესი განათლების მზარდი ხარჯები; უნარების შეუსაბამობა და უმუშევრობა; განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილი ბიუჯეტი, პედაგოგთა სიმცირე და სწავლების ხარისხი) გადასაწყვეტად, მიგვაჩნია, აუცილებელია შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, მათ შორის მიზნობრივი დაფინანსების მოდელის შემუშავება, სტიპენდიებისა და ფინანსური დახმარების პროგრამების ამოქმედება, ციფრული პლატფორმების, ჰიბრიდული სწავლების მოდელის დანერგვა შორეული ან დაუცველი რაიონების მოსახლეობისთვის, პარტნიორობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თემებთან პროფესიული სწავლებისა და მარგინალიზებული მოსახლეობისთვის ალტერნატიული განათლების გზების მხარდასაჭერად. ასევე, ვფიქრობთ, უნდა დაინერგოს სუბსიდირებული უმაღლესი განათლების მოდელი საჯარო უნივერსიტეტებისთვის, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე

სტუდენტებისთვის და ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავდეს ისეთი სასესიო სისტემები, რომლის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ საგანმანათლებლო დავალიანების გადახდას სწავლის შემდგომ შემოსავლის საფუძველზე.

საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებში ფოკუსირება უნდა მოხდეს თანამედროვე ეკონომიკისთვის შესაბამის უნარებზე, მათ შორის კრიტიკულ აზროვნებაზე, პრობლემების გადაჭრაზე, ციფრულ წიგნიერებასა და ტექნიკური უნარების გამომუშავებაზე მაღალ მოთხოვნად ინდუსტრიაში. ასევე, მიგვაჩნია, რომ უნდა განხორციელდეს უწყვეტი სწავლებისა და გადამზადების ხელშეწყობი პროგრამები, რომელიც დასაქმებულ პირებს საშუალებას მისცემს მუდმივად შეძლონ თავიანთი უნარების განახლება, განსაკუთრებით ისეთ ინდუსტრიაში, რომელიც დაკავშირებულია ავტომატიზირებულ სისტემებთან. ვფიქრობთ, პრიორიტეტად თუ განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტები და ასევე, საერთაშორისო დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობას ჩაეყრება საფუძველი - განათლების ინიციატივებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების დასაფინანსებლად - მოკლევადიან პერსპექტივაში რენტაბელური შედეგი აუცილებლად დადგება.

REFERENCES

- Antalová, M. (2021). The Importance of Globalisation and Learning Capital for Economic Growth. *SHS Web of Conferences*, 92, 08002. <https://doi.org/10.1080/10402659.2023.2270501>.
- Bielska, T., Kurashvili, G., Beridze, T., & Chelidze, M. (2024). Challenges of Artificial Intelligence in the Educational Process. *Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal „Science and Innovation“*, №3, 6-12. <https://doi.org/10.52340/sai>.
- Chaudhary, B. (2016). Globalization and Education. *Globus Journal of Progressive Education, A Refereed Research Journal*, Vol 6 / No 1.
- Goodwin, A. L. (2019). Globalization, Global Mindsets and Teacher Education. *Action in Teacher Education*, 42(1), 6–18. <https://doi.org/10.1080/01626620.2019.1700848>.
- Hay, C. (2020). Globalization and its Impact on States. *Global Political Economy*, Oxford University Press, 282 - 310.
- Ishchenko-Padukova, O., Kazachanskaya, E., Movchan, I., & Nawrot, L. (2017). Economy of education: National and global aspects. *Journal of International Studies*, 10(4), 246-258. <https://doi.org/doi:10.14254/2071-8330.2017/10-4/19>.
- Kurashvili, G., Beridze, T., & Chelidze, M. (2019). Innovative Technologies – to Ensure the Quality of Education. *IV International Scientific Conference «Challenges of Globalization in Economics and Business»* (pp. 429-432). Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
- Kurashvili, G., Beridze, T., Chelidze, M., Gelitashvili, G., & Beridze, S. (2019). Integration of State Universities - to expand educational mobility and research. *Scientific Journal*



«*Authority and Society (History, Theory, Practice)*». Publishing House „*Technical University*“, 175-180.

Rocha, O., Kamphambale, D., MacMahon, C., Coetzer, J.-H., & Morales, L. (2023). The Power of Education in a Globalised World: Challenging Geoeconomic Inequalities. *Peace Review*, 35(4), 708–723. <https://doi.org/10.1080/10402659.2023.2270501>.